

ქვეშეთი-კობის გზის პროექტი

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დამატებითი გეგმა¹ – ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმასა და ხადას ხეობის განვითარების გეგმასთან დაკავშირებული საკონსულტაციო შეხვედრები

2021 - 2023

პროექტის აღწერა

საქართველოს რეგიონული განვითარების 2018-2021 წლების პროგრამა საქართველოს მთავრობამ ქვეყნის მთავარი გზების განახლების მიზნით დაიწყო. პროგრამას მართავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. პროგრამა მიზნად ისახავს ტვირთის ტრანსპორტირების გაუმჯობესებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის მიმდებარე ქვეყნებთან; ასევე მიზნად ისახავს საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო, ლოჯისტიკურ და სავაჭრო ცენტრად გადაქცევის ხელშეწყობას.

რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია E117 გზის ჟინვალი-ლარსის მონაკვეთის გაუმჯობესება (რომელიც კვეთს კავკასიონის მთებს), რათა კლიმატისადმი მდგრადი მაგისტრალის მშენებლობით გაუმჯობესდეს საქართველოს ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის კავშირი და უსაფრთხოება. E117 გზის აღნიშნული მონაკვეთი დაყოფილია სამ ქვე-მონაკვეთად, კერძოდ: ჟინვალი-ქვეშეთი, ქვეშეთი-კობი და კობი-ლარსი. ქვეშეთი-კობის ქვე-მონაკვეთი (შემდგომში - „პროექტი“) წარმოადგენს პირველ პროექტს, რომელიც შემუშავდა ზემოაღნიშნული სამი ქვე-მონაკვეთიდან.

არსებული 35 კმ-იანი მონაკვეთი არ არის უსაფრთხო, ხასიათდება გადატვირთული მოძრაობით და რთული მოვლა-შენახვის პირობებით (განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში), რაც იწვევს საავტომობილო მოძრაობის დაკეტვას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამიტომ შენდება ახალი 23 კმ-იანი შემოვლითი გზა, ქვეშეთიდან კობამდე, რათა დიდი სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობა გახდეს უფრო უსაფრთხო და საავტომობილო მოძრაობა მთელი წლის განმავლობაში იყოს შეუზღუდავი. აღნიშნული ახალი შემოვლითი გზა ასევე უზრუნველყოფს, რომ 5 კმ-იან სასოფლო გზებს ნებისმიერ ამინდში ჰქონდეთ წვდომა გზისპირა სოფლებთან. ქვეშეთი-კობის მონაკვეთი ყველაზე რთულ მონაკვეთს წარმოადგენს, რადგან ის მოიცავს 9 კმ-იან გვირაბს (მთავარი გვირაბს), რომელიც გაივლის კავკასიონის ქედის ქვეშ და გვერდს აუვლის არსებულ გზას, რომელიც გუდაურის ტერიტორიის და ჯვრის უღელტეხილის გავლით აკავშირებს ქვეშეთს კობთან.

პროექტის განმახორციელებელ უწყებას წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რომელსაც აქვს სრული პასუხისმგებლობა საგზაო სექტორზე და პასუხისმგებელია აღნიშნული პროექტის განხორციელებაზე. ქვეშეთი-კობის მონაკვეთის

¹ პროექტის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
https://kvshetikobiroad.ge/wp-content/uploads/2023/06/KK-Stakeholder-engagement-plan_May-2023.pdf

სამშენებლო სამუშაოებს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და აზიის განვითარების ბანკი (ADB) აფინანსებს.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, შემოთავაზებული პროექტი მთლიანად განლაგებულია მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. კერძოდ, საპროექტო არეალი გადაჭიმულია დუშეთის მუნიციპალიტეტის ქვეშეთის ტერიტორიიდან და ხადას ხეობიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კობის ტერიტორიამდე.

მშენებლობისა და სატენდერო პროცედურების ჩატარების მიზნით, მარშრუტი დაყოფილია ორ მონაკვეთად:

- ლოტი 1 – წკერე-კობი (10 კმ), რომელიც მოიცავს მთავარ გვირაბს და
- ლოტი 2 – ქვეშეთი-წკერე (12,7კმ).

ლოტი 1 და ლოტი 2 მონაკვეთების ძირითადი საპროექტო მახასიათებლები შეჯამებულია ქვემოთ, ხოლო ტრასის განლაგების მიმოხილვა წარმოდგენილია ნახაზი N 1-ში:

ლოტი 1 მოიცავს:


- სოფ. წკერედან გვირაბის სამხრეთ პორტალამდე 178 მ სიგრძის გზის მონაკვეთს;
- 8.86 კმ სიგრძის ორმხრივ, 2 ზოლიან გვირაბს (მაქს. ქანობი 2.35%);
- 9.062 კმ სიგრძის საავარიო-საევაკუაციო გალერეას გვირაბის პარალელურად და 17 მიერთებას ძირითად გვირაბთან.
- ჩრდილოეთისა და სამხრეთ პორტალების მიმდებარედ განლაგებულ ტექნიკურ შენობა-ნაგებობებს, რომლებიც მოიცავს გვირაბის მომსახურებისთვის საჭირო ნაგებობებს, სატუმბ სადგურსა და ვენტილაციის ოთახს;
- საპროექტო სიჩქარე 80 კმ/სთ.

ლოტი 2 იწყება ქვეშეთთან და გრძელდება სოფ. წკერემდე, მთავრდება სოფლის დასაწყისამდე კვ12 +720-ზე. მარშრუტი მოიცავს 2.5 კმ გვირაბებს და 1.5 კმ სიგრძის ხიდებს. აღნიშნული მონაკვეთის ძირითადი ელემენტებია:

- ქვეშეთის შემოვლითი გზა;
- 6 ხიდი;
- 4 გვირაბი, ორი აშენებული ბურღვა/აფეთქების ტექნიკით და ორი ღია წესით;
- 5 მიერთება და 3 დროებითი დამხმარე გზა სამშენებლო სამუშაოებისთვის;
- საპროექტო სიჩქარე 80 კმ/სთ.

გვირაბების მშენებლობის შედეგად წარმოიშვება ფუჭი ქანები და შესაბამისად, ამ მასალის განთავსებისთვის საჭირო იქნება სანაყაროები.

ნახაზი 1: ლოტი 1 და ლოტი 2 მარშრუტის მიმოხილვა



ზოგადი მიმოხილვა

პროექტისთვის შემუშავდა და განხორციელდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა (SEP), რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის, EBRD-ის 2014 წლის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის და 2014 წლის საჯარო ინფორმაციის პოლიტიკის, ADB-ის 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის და 2011 წლის საჯარო კომუნიკაციის პოლიტიკის მოთხოვნებს. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP) ასახავს დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირებას (mapping exercise), რომელიც განხორციელდა და გამოიყო ძირითადი პირები ან ჯგუფები (i) რომლებიც მოქცეულნი არიან ან შესაძლოა მოექცნენ (პირდაპირ ან ირიბად) პროექტის ზემოქმედების ქვეშ (პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მხარეები); ან (ii) შეიძლება ჰქონდეთ ინტერესი პროექტის მიმართ (სხვა დაინტერესებული მხარეები), ისევე როგორც დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობები პროექტის ფარგლებში.

SEP ასევე მოიცავს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობებს, რომლებიც განხორციელდა პროექტის შემუშავებისა და მშენებლობის ეტაპებზე. ესენია: ღია საკონსულტაციო შეხვედრები, ფოკუს-ჯგუფებთან დისკუსიები, ინდივიდუალური სიღრმისეული ინტერვიუები, ღონისძიებები, რათა ადგილობრივმა თემებმა მიიღონ ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების პროგრესისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, შენობების მდგომარეობის წინასამშენებლო კვლევების ჩატარება და თემის საჩივრების განხილვის მექანიზმის შემუშავება.

კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების პროგნოზირებული მასშტაბის გათვალისწინებით, პროექტის ფარგლებში შემუშავდა შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებსაც ასევე მოიხსენიებენ, როგორც „ხუთეტაპიან არქეოლოგიურ სტრატეგიას“. აღნიშნული სტრატეგია მოიცავს შემდეგს: (i) ეტაპი 1 - კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული არსებული მონაცემებისა და მასალების მიმოხილვა, (ii) ეტაპი 2- ვრცელი და ინტენსიური კვლევები; (iii) ეტაპი 3 - წინასამშენებლო გათხრები; (iv) ეტაპი 4 - შემთხვევითი აღმოჩენები მშენებლობის დროს; და (v) ეტაპი 5 - ანგარიშგება. დეტალური

ანგარიში, რომელიც ასახავს ყველა შემარბილებელ ღონისძიებას, რომელიც განხორციელდა 2019 და 2022 წლებში, მომზადდა და საჯაროდ გამოქვეყნდა 2022 წლის ივნისში პროექტის ვებგვერდზე:

<https://kveshetikobiroad.ge/en/public-information/>

ორი დოკუმენტი, კერძოდ, ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა (HCRP) და ხადას ხეობის განვითარების გეგმა (KVDP), შემუშავდა ABD-ის ტექნიკური დახმარებით. ხადას ხეობის განვითარების გეგმაზე (KVDP) პასუხისმგებელია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხოლო ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმაზე (HCRP) პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს (NACHP). როგორც ასეთი, ისინი უშუალოდ ქვეშეითი-კობის პროექტის ნაწილს არ წარმოადგენენ.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დამატებითი გეგმის მიზანი

წინამდებარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დამატებითი გეგმის მიზანია (რომლის გასაჯაროება უნდა მოხდეს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) პარალელურად) გამოიკვეთოს ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმასთან (HCRP) და ხადას ხეობის განვითარების გეგმასთან (KVDP) დაკავშირებით დაინტერესებული მხარეების მიერ დღემდე გაწეული ჩართულობის აქტივობები, რომლებიც არ არის ასახული SEP-ში, რადგან ეს ორი გეგმა არ წარმოადგენენ პროექტის ნაწილს.

წინამდებარე გეგმა წარმოადგენს მოქმედ დინამიურ დოკუმენტს და მისი განხილვა და განახლება უნდა განხორციელდეს SEP-ის პარალელურად.

გასაჯაროებული დოკუმენტები:

პროექტის მშენებლობის ეტაპზე, დაინტერესებული მხარეებისთვის პროექტის ვებგვერდზე (www.kveshetikobi.ge) გამოქვეყნდა შემდეგი დოკუმენტები:

- ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის წინასწარი პროექტი;
- ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის დასკვნები;
- ხადას ხეობის განვითარების გეგმის კონცეფციის პროექტი;
- ხადას ხეობის განვითარების გეგმის დასკვნები და ხადას ხეობის განვითარების გეგმის განხორციელების სამოქმედო გეგმა

დღეის მდგომარეობით დასრულებული დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ღონისძიებები

იმისათვის, რომ კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის სფეროთი დაინტერესებულმა მხარეებმა შეძლონ დროული უკუკავშირი ხადას ხეობის განვითარებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტურიზმზე დაფუძნებული შემოსავლის მიღების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ამ ორ გეგმასთან დაკავშირებით 2021-2023 წლებში განხორციელდა პირველ ცხრილში მოცემული დაინტერესებული მხარეების კონკრეტული საკონსულტაციო აქტივობები.

ცხრილი 1: დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აქტივობების მოკლე აღწერილობა, რომლებიც განხორციელდა HCRP-თან და KVDP-თან დაკავშირებით მშენებლობის ეტაპზე (2020 წლის ოქტომბრიდან დღემდე)

#	ჩართულობის ღონისძიებები	მონაწილეთა ჯგუფები	ჩართულობის თარიღი და ადგილმდებარეობა	ჩართულობის მიზანი
1	სემინარი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემების ადგილობრივი თემის მაცხოვრებლები	18.06.2021 გუდაური	მოსახლეობის ინფორმირება ხადას ხეობის განაშენიანების გეგმის განვითარებისა და მიზნების შესახებ
2	ვირტუალური საკონსულტაციო შეხვედრა	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (სსო) და პროფესიული ორგანიზაციები	09.09.2021	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების სტატუსის შესახებ დეტალური განახლებული ინფორმაციის უზრუნველყოფა, აგრეთვე ზოგადი წარმოდგენის გაზიარება ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმისა და ხადას ხეობის განვითარების გეგმის მასშტაბებთან/მოსალოდნელ შედეგებთან/ვადებთან დაკავშირებით.
3	ვირტუალური საწყისი შეხვედრა	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (სსო) და პროფესიული ორგანიზაციები	15.11.2021	ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის კონცეფციის პროექტის პრეზენტაცია, მისი სავარაუდო შინაარსის/მოსალოდნელი შედეგებისა და დასრულების ვადების მითითებით.
4	სემინარი	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (სსო) და პროფესიული ორგანიზაციები	02.05.2022	ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის წინასწარი დასკვნების პრეზენტაცია და კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტებისა და არასამთავრობო

				ორგანიზაციების უკუკავშირის მოპოვება
5	სემინარი	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (კულტურული მემკვიდრეობა და გარემოსდაცვითი საკითხები).	03.05.2022 სასტუმრო ქორთიარდ მარიოტი, თბილისი	ხადას ხეობის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის მიზნების, დასკვნებისა და რეკომენდაციების პრეზენტაცია.
6	საჯარო კონსულტაცია	პროექტის ზემოქმედების ქვემოქცეული თემების ადგილობრივი თემის მაცხოვრებლები	05.05.2022	ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის წინასწარი დასკვნების პრეზენტაცია და ხადას ხეობის ადგილობრივი თემებიდან უკუკავშირის მიღება - აგრეთვე ხადას ხეობის განვითარების გეგმის კონცეფციისა და მისი სავარაუდო მასშტაბების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ასევე ადგილობრივი მოსახლეობისგან შეხედულებების, წინადადებების და პრეტენზიების მიღება.
7	საკონსულტაციო შეხვედრა	კულტურული მემკვიდრეობისა და ბიომრავალფეროვნების არასამთავრობო ორგანიზაციები, ტურისტული ასოციაციები, კულტურული მემკვიდრეობისა და ბიომრავალფეროვნების ექსპერტები.	01.11.2022 სასტუმრო მარკო პოლო, გუდაური	KVDP-ის წინასწარი დასკვნების პრეზენტაცია და ძირითადი დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღება
8	საჯარო კონსულტაცია	ადგილობრივი თემის მაცხოვრებლები	01.11.2022 სასტუმრო მარკო პოლო, გუდაური	ხადას ხეობის განვითარების გეგმის გასაჯაროების მიზნით შესრულებული სოციალური კვლევების პრეზენტაცია. ხადას ხეობის განვითარების გეგმის კონცეფციის პრეზენტაცია.

9	საკონსულტაციო შეხვედრა	სამთავრობო ორგანიზაციები (პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მუნიციპალიტეტიდან)	24.01.2023 დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია.	ხადას ხეობის განვითარების გეგმის საბოლოო შედეგების პროექტის პრეზენტაცია და ძირითადი დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მიღება. მუნიციპალიტეტთან სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვა.
10	საჯარო კონსულტაცია	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (სსო) და პროფესიული ორგანიზაციები	31.01.2023 სასტუმრო ქორთიარდ მარიოტი, თბილისი	ხადას ხეობის განვითარების გეგმის საბოლოო შედეგების პროექტის პრეზენტაცია და ძირითადი დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მიღება

დაინტერესებული მხარეების მუდმივი ჩართულობა

საკონსულტაციო შეხვედრები კულტურულ მემკვიდრეობასა და ტურიზმზე ორიენტირებულ ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან გაგრძელდება 2023 წლის განმავლობაში და შემდგომაც, მანამ სანამ არ დასრულდება ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმისა და ხადას ხეობის განვითარების გეგმის განხორციელება.